



აგროსაერვის ცენტრის გავითი

# გაყინუკა

ერთად ვაყვარებით სიკეთესად საფუძვალს!

WWW.AGROSC.GE

№ 1. ივნისი. 2014 წელი

## ვაზის აბროტაქნიკა



მევენახეობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ვიშთა მრავალფეროვნება, წარმოებისა და გავრცელების ფართო არეალი ამის უტყუარი დადასტურებაა. უსსოვარი დროიდან დღემდე ქართველმა კაცმა შეისისხლბორცა ვაზის კულტურა და იგი განვითარების რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე აიყვანა. დაამუშავა ვაზის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები, აწარმოა ვაზის სელექცია, შექმნა არაერთი უნიკალური ვაზის ვიში, შექმნა ღვინის დაყენების საკუთარი წესი და სხვა. სწორედ ამ და სხვა თვისებების გამო ქართულ მევენახეობას გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო მევენახეობაში. მაგრამ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მევენახეობა ცოცხალი პროცესია და ყველა ებოქაში, განვითარების ყველა დონეზე განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგას. წარმოების პროცესში აუცილებელია თითოეული ნიუანსის გათვალისწინებაც კი, რადგანაც უმნიშვნელო უყურადღებობას შეიძლება საავალალო შედეგები მოყვას. ერთი სიტყვით აუცილებელია იმ ტექნოლოგიური პროცესის კარგი ცოდნა, რომელიც იწყება ნიადაგის და მუშავებით და მთავრდება პროდუქციის მიღებით.

დასასრული მე-4 გვერდზე

## ვაზო. შვილივით ნაზარდო

კაცობრიობის ისტორიაში ღვინოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უსსოვარი დროიდან მას, სამომხმარებლოს გარდა, საკულტო და ნიშნულეზაც ჰქონდა. ჩვენთვის საბატიოა ის ფაქტიც, რომ საყოველთაო აღიარებით – მეღვინეობის სამშობლოს საქართველო წარმოადგენს.

კულტურული მევენახეობის საწყისი ენეოლითურ და ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. როგორც ვარაუდობენ, ვაზის მოშენება და ღვინის დაყენება საქართველოში და მიმდებარე ქვეყნებში 8-10 ათასი წლის წინ დაიწყო და აქედან თანდათანობით გავრცელდა მესოპოტამიაში, მცირე აზიასა და სირია-პალესტინაში. დაახლოებით 5 ათასი წლის წინ მეღვინეობამ განვითარება ეგვიპტეში, მოგვიანებით კი საბერძნეთსა და დანარჩენ ხმელთაშუაზღვისპირეთში ჰპოვა. სავარაუდოდ, თვით სახელწოდება „ღვინო“ მთელს ევროპასა და მსოფლიოში ქართულიდანაა გავრცელებული. „ღვინო“ იგივე ან სახეშეცვლილი ფორმით დამკვიდრდა მრავალ ენაში: vin, wein, winum, wain, vino ... და სხვა. ვაზის ვიშთა უმრავლესობას, რომელიც ძირითადად ევროპაშია გავრცელებული გენეტიკური კავშირი აქვს ქართულ ვაზთან.

ძველი ნელთალრიცხვის VIII საუკუნეში ჰომეროსი საქართველოს (კოლხეთს) მარცვლეული კულტურებისა და მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნად მიიჩნედა და ამბობდა: „მუნ ერი ღმერთთა შეწევით, ყოვლითურთ უზრუნველია, იფქლი (ხორბალი) და ქრთელი (ქერი) ღვინითურთ აქვთ ქვეყნის მოსარწყველია ... ხოლო იქაური ღვინო „მქეფი“ და სურნელოვანია“...



„ქართველთა ტომებმა იციან ვაზის მოვლა, ღვინის დაყენება, შენახვა და ამისთვის შესაფერისი ჭურჭლის გააჩნიათ“, - წერდა ძველი ნელთალრიცხვის IV საუკუნეში პეროდოტე.

„საქართველოში ვაზი ნაყოფს იძლევა უკვე მეორე წელს და ისხამს იმდენს, რომ უმეტეს ნაწილს ზედვე ტოვებენ“, - აღნიშნავს სტრაბონი ძველი ნელთალრიცხვის I საუკუნეში ...

ვენახი იყო საქართველოს ძლიერების ერთერთი გარანტი, რის გამოც - მეურნე ვაზზე შეილივით ზრუნავდა, ამიტომაც იყო, რომ დამპყრობელი მტერი საქართველოს გადაშენებას ყოველთვის ვენახის აჩქვამოძირკვით ცდილობდა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ეძღვნება იმდენი ჰიზნი და საგალობელი ვაზს, რამდენიც საქართველოში.

დასასრული მე-2 გვერდზე

## ძვევრით შეკრული ათასწლოვანი კავშირი

ცნობილია, რომ ქართველი კაცისა და ვენახის ათასწლოვან კავშირს ქვევრი კრავდა, რომლის გარეშეც ღვინის დაყენება და შენახვა შეუძლებელი იქნებოდა.

იუნესკომ ქართულ ქვევრს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც ქვევრში ღვინის დაყენების ქართული მეთოდის უნიკალურობის, უდიდესი და უძველესი ისტორიის დადასტურებაა.

საქართველოში ქვევრებს ოდითგანვე ამზადებდნენ. ისტორიული წყაროები ადასტურებს, რომ ველური ვაზი სწორედ სამხრეთ კავკასიაში, შვე ზღვასა და კასპიის ზღვას შორის „მოაშინაურეს“, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ძველი საღვინე ჭურჭელი, ქვევრის უშუალო წინაპარი. იგი მდინარე ხრამის ახლოს დიდ გორაზე იპოვეს და მეცნიერების ვარაუდით VI-V ათასწლეულებით თარიღდება. ამ 7-8 ათასი წლის თიხის ჭურჭელზე გამოსახულია სტილიზებული ყურძნის მტევანი, ხოლო მის კედლებში აღმოჩენილია ღვინის მუავას კვალი, რაც უტყუარად მოწმობს მის დანიშნულებაზე.

საინტერესოა ცნობას გვანავდის სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“: „ჭური, საცავი კბილსა, განიყოფებთან, რამეთუ დიდთა ეწოდებოან ქვევრი, და მისა უმცროსსა-ქოცო, არამედ ყოველივე ჭური არს“.

ჩვენში ძირითადად 700-800 ლიტრამდე მოცულობის ქვევრებს



ამზადებენ, თუმცა, სპეციალისტების ვარაუდით, ძველ საქართველოში უზარმაზარი ქვევრებიც მზადდებოდა, რომელთა მოცულობა 1500 ლიტრს აღემატებოდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ საგურამოში, დიდი ილია ჭაჭავაძის სიმაგრის - თადეოზ გურამიშვილის მამულში დღემდე კარგად შემონახულ მარანში - მოქმედი 17 დიდი ქვევრია, რომელთა მოცულობები 1 - 15 ტონის ფარგლებშია.

თუკი ძველად, ქვევრები ათეულობით სოფელში მზადდებოდა, დღეს ამ მხრივ მდგომარეობა ერთობ საავალალოა, ქვევრები ახლა კახეთში, სოფელ ვარდისუბანში მზადდება, გურიაში - სოფელ აცანაში, იმერეთში კი - მატაბუბანში, შროშასა და ტყემლოვანაში ამზადებენ. ქვევრების დამზადების დიდი ტრადიცია იყო რაჭა-ლეჩხუმში, ქართლში და სამეგრელოშიც, თუმცა სადღესოდ ამ რეგიონებში ესოდენ დიდმნიშვნელოვან, ისტორიულ სამეურნეო დარგს კარგა ხანია აღარ მისდევენ.

საინტერესოა ისიც, რომ ქვევრი და ჭური - პრაქტიკულად ერთი და იგივეა. ამ ტერმინებს შორის რაიმე სხვაობა არაა. ჭურს უშირატესად დასავლეთ საქართველოში ხმარობენ. თანამედროვე ქართულში - „ქვევრი“ მიღებული ლიტერატურული ტერმინია. დანიშნულებიდან გამომდინარე, გვხვდება სხვა სახელწოდებები: დერგი, ხალანი, საზედაზე ქვევრი, ჩასავალი, ლავინი და სხვა.

ნუგზარ ჟორდანიანი

**2**

**ქვევრის ღვინო - ქართული გენის შედევი!**

ქვევრის ღვინო, როგორც ფუნომენი, ქართული მეღვინეობის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად მოიაზრება.

**3**

**ავროკავშირისა და გაეროს პროგრამა გრძელდება**

ავროსერვის ცენტრში ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამის გაგრძელებას ხელი მოეწერა.

**3**

**ქადაგი ღვინის ქარხანა იხსნება**

აჭარელ მევენახეებს ახალი ღვინის ქარხნის სახით სასიამოვნო სიურპრიზი ელოდებათ.

**3**

**აგროსაერვის ცენტრის პრესტური**

ქობულეთის ფერმერთა მომსახურების სერვისცენტრს მედიის წარმომადგენლები ესტუმრნენ.

**4**

**ჩვილი სბოების დაკვლით ვერ განვითარდება**

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჩვილი სბოს დაკვლა კანონითაა აკრძალული.

# ვაზო, უპილიპიტ ნაზარდო

დასასრული, დასაწყისი პირველ გვერდზე

ამჟამად, მსოფლიოში 4 ათასამდე ვაზის ჯიშია. მათ შორის 500-მდე აბორიგენული - ქართულია. საქართველოს ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია 41 ჯიშის, აქედან 27-ტექნიკური (სალვინი) ჯიშია, 14 სუფრისაა. გადასამუშავებლად იყენებენ მთელი ფართობიდან მიღებული მოსავლის 96-97 პროცენტს. საქართველოში ვენახები ორი სახისაა: დაბლარი და მაღლარი. ცნობისთვის: 2001 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ვენახების ფართობი 7,9 მილიონი ჰექტარია. ესპანეთში ვენახები 1230 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული, საფრანგეთში 914 ათას ჰა-ზე, თურქეთში 530 ათასი ჰა, აშშ-ში 514 ათასი ჰა. არსებული სტატისტიკით, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში 150 ათასი ჰექტარი ვენახი ირიცხებოდა და მრეწველობას 500-დან 700 ათას ტონამდე ყურძენი ბარდებოდა.

ოდიტგან, საქართველოში ღვინის სმა ხელოვნების და რიტუალის დონეზე იყო აყვანილი, ქართული პოეზიის მზე - დიდი შოთა რუსთაველი აეფხისტყაოსანში“ წერს:

„შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა სხვა გახარეა ასეთი არს უნახავი თვალისა; ჯვამი და ჭიქა ყველაი ფირუზისა და ლალისა, არვისა ბრძანა მეფემან არცა გაშევა მთვრალისა.“

აჭარაში ვაზის გავრცელების შესახებ ისტორიული წყაროები საკმაოდ მდიდარ მასალას გვანდის, თუმცა, მათგან მაინც ფასადუდებულია ვაზუშტი ბაგრატიონის მიერ აჭარის აღწერაში ჩადებული სრული სურათი: „არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯაბამისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდინი, ვინრო, ხრამოვან-ლრატოიანი, მთიანი, ტყიან-ნადირიანი, კაცნი ხელოვანი ხის მუშაკობითა“. მოგვიანებით, მოგზაურისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ყაზბეგის აღწერით, აჭარა ვაზის ადგილობრივ ჯიშთა სიმრავლით გამოირჩეოდა და წარმოადგინებდა - 80 ერთულამდე აღწევდა.

რეგიონში დღემდე შენარჩუნებულია სხვადასხვა სიმინისა და შეფერობის მქონე საღვინე, სასუფრე-სალვინი და სასუფრე მიმართულების აბორიგენული და ინტროდუქციონული ვაზის 50-ზე მეტი ჯიშია.

ადგილობრივი საღვინე ჯიშებია: ბროლა, ვაიოს საფრეავი, ბუტკო, თეთრა, ჩხუმი, ჭოდი, კოლოში, ღვანურა, ჭიპაკური და სხვა.

სალვინე-სასუფრე ჯიშები: ხოფა-თური, პოვნილი, კოლოტურა, მტრედისფხა, შავი ლივანურა, ჭეჭიბერა, ქორქაული და სხვა. სასუფრე ჯიშები: მისკვიეთა, თეთრი ლევანურა, ბათომურა, ცხენის ძუძუ, აჭარული, მეკვერენი, მათენაური, ჯინში, ხარის-თვალა, მახათური და სხვა.

1970 წლისათვის აჭარაში ვენახების საერთო ფართობი 1033 ჰექტარს შეადგენდა, მათ შორის-ქობულეთში 328 ჰა, ბათუმში 88 ჰა, ხელვაჩაურში 184 ჰა, ქედაში 260 ჰა, შუახევში 109 ჰა, ხულოში 64 ჰა; აქედან სახელმწიფო სექტორში ვენახებს მხოლოდ 462 ჰა ეჭირა, ხოლო მოსახლეობაში 571 ჰა. სახელმწიფო სექტორში გაშენებული დაბლარი ვენახის 90 პროცენტზე მეტი ცოლიკაურის ჯიშის იყო.

2012 წლისათვის აჭარაში ვენახების საერთო ფართობი 180 ჰექტარია, სადაც 70%-ზე ცოლიკაურია გაშენებული, ჩხავერი 8%-ზე, დანარჩენ ჯიშებზე 22% მოდის. სრულმსხმოიარეა 160 ჰექტარი, საშუალო-საშტეტორი მოსავლიანობა 75 პროცენტია და ყურძნის წარმოება 1200 ტონის ფარგლებშია.

ბოლო ათწლეულში აჭარის არ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით „მოსახლეობის უზრუნველყოფა წმინდა ჯიშური ნიშნით“ ვენახების მქონე ვაზისა და ხეილოვანი კულტურების სარგავი მასალით, რეგიონის მოსახლეობას უსასყიდლოდ 80 ათასი ძირი ვაზის (ჩხავერი, ცოლიკაური, ოჯალეში, ალადასტური) სტანდარტული ნამყენი ნერგი მიენიჭა. გაშენებული ზერებიდან პირველი მოსავალი 2010 წელს მიიღეს, 2011 წელს კი მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი პოპულარიზაციის და აგროტურიზმის განვითარების მიზნით, რეგიონში ამოქმედდა „აჭარული ღვინის სახლი“.

მევენახეობის დარგის განვითარების მიზნით აჭარაში 2015 წლისათვის დაგეგმილია ვენახების ფართობის 500 ჰექტარამდე



გაზრდა. აქედან, მარტო ჩხავერი 250 ჰექტარზე გაშენდება.

2013 წლის გაზაფხულიდან, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას ტერიტორიაზე აჭარის არ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით (ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ფართომასშტაბიანი სამუშაოები ჩატარდა, შეიქმნა ვაზისა და ხეილოვნების სანერგე-სადემონსტრაციო ნაკვეთი, მოეწყო სასათბურე მეურნეობა, ხილვეკროვანთა ჰელიო-საშრობი საამქრო, ფერმერთა თანამედროვე მოთხოვნათა და სტანდარტების დონის საკონსულტაციო ცენტრი. უკვე გაშენებულია ვაზისა და ხეილოვნების ნაკვეთები, სამუშაოებისათვის ფრონტი კიდევ უფრო ფართოვდება, ინტერესი და იმედები ამ ახალი სასოფლო-სამეურნეო ობიექტის მიმართ ძალზე დიდია. ჩვენ ვესაუბრეთ ამ სასოფლო-სამეურნეო სანარმოს ნამყენ აგრონომს, გამოცდილ მევენახეს, რომელიც ძირითადად სწორედ ვაზის ჯიშებზე მუშაობითაა დაკავებული, ბატონ ტარიელ უჯმაჯურიძეს, ვფიქრობთ, მისი მონათხრობიდან ფერმერები, დანტერესებელი მკითხველი და ზოგადად - საზოგადოება ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებს.

**ბატონ უჯმაჯურიძე** - აგროსერვის ცენტრის გვარას საკოლექციო-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობის აგრონომი:

„გვარას სანერგე-სადემონსტრაციო ნაკვეთზე 2013 წლის გაზაფხულზე 25 ჯიშის ვაზისა და რამდენიმე ათეული ხეილოვანთა ადგილობრივი და ინტროდუქციონული ჯიშის ნერგები დაერგა. პირველ რიგში გეტყვი, რომ ვაზი ძირითადად ადრეული სასუფრე ჯიშებითაა წარმოდგენილი, თუმცა საკმაო რაოდენობითაა სალვინე ჯიშებიც, რაც მთავარია, კოლექციაში არის ის ადგილობრივი, ენდემური ჯიშები, რომლებიც ისტორიულად ხარობდა ამ რეგიონში და აქაური მეღვინეობა-მევენახეობის კულტურას ჰქმნიდა. საერთოდ, ჯიშების შერჩევას განსაკუთრებული ფაქტი და პრაგმატული მიდგომებით ვახდენთ. ამაში ჩადებულია როგორც ეკონომიკური, ასევე ეროვნულ-სოციალური პრინციპიც და ვფიქრობ, პირველი, ჯერ კიდევ მოკრძალებული შედეგები, საკმაოდ დიდი იმედების საფუძველს იძლევა. ვაზი, მიუხედავად იმისა, რომ, ობიექტური მიზეზების გამო, რგვის აგროვადებთან შედარებით ცოტა გვიან დაიწყო და ვშიშობდით კიდევ - ვერ მივაღწევდით გახარების სასურველ დონეს, ჩვენი სპეციალისტების ძალისხმევით, მონდომებითა და გარკვეულწილად - ბუნების ხელშეწყობით, ვაზის გახარების კოეფიციენტი 97 პროცენტზე შეადგინა, რაც ჩვენი რეალური პირობების კი არა, აგროტექნიკური ღონისძიებებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვის შემთხვევაშიც კი, ჩი-

ნებული მაჩვენებელია.

მკითხველს მინდა ვაწყნო, რომ ჩვენს სანერგეში საღვინე ჯიშები წარმოდგენილია იმ სახეობებით, რომლებიც ბევრს იქნებ დაკარგულიც კი ეგონა, ასე, რომ სულ მალე ჩვენი ფერმერები და დანტერესებული პირები ისეთი უნიკალური ჯიშების ნერგებს მიიღებენ, როგორებიცაა: ბათუმურა, კლარჯული, ქაქუთურა, კრაზუნა, უსახლოური, ასევე ცოლიკაური, ოჯალეში, ალექსანდროული, ნულუკიდის თეთრა და სხვა. რაც შეეხება სასუფრე ჯიშის ყურძენს, ჩვენ სპეციალისტებთან ერთად აქცენტები გავაკეთეთ ისეთ ცნობილ პოპულარულ და ეკონომიკურად მომგებიან, მაღალი კვეთით და სასაქონლო ღირებულების ჯიშებზე, როგორებიცაა კარდინალი, კრიმონ-სიდლური, სულთანიანი, დონ მარიაში, ასევე ქართული საადრეო და სხვა. აქ ისიც განვიხილავთ, რომ შეჩვენებული სასუფრე ჯიშები, სხვებთან შედარებით ადრე მსხმოიარობენ, გამოირჩევიან განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით და რაც უმთავრესია - მწიფობა ემთხვევა საკურორტო სეზონს.

სანერგე-სადემონსტრაციო ნაკვეთში საგაზაფხულო სამუშაოები და აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებები დროულად და ხარისხიანად ჩატარდა, შედეგები უკვე იძლევა იმის გარანტიას, რომ მიმდინარე წელს ადგილობრივ ფერმერებსა და სტუმრებს რეალურად ექნებათ საშუალება საკუთარი თვითონ ნახონ, დაათვალიერონ უკვე მსხმოიარე ვაზის ნარგაობა, დარწმუნდნენ ამა თუ იმ ჯიშის უპირატესობაში და საკუთარი სურვილისამებრ შეუკვეთონ სასურველი ჯიშის ვაზის ნერგები. წელს დაგეგმილია 50 000 ძირი სტანდარტული ნერგის მიღება, რისთვისაც მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარებულია: შექმნილია როგორც საძირე, ასევე სანამყენე მასალა, დანარჩენი - უკვე სპეციალისტების კვალიფიკაციასა და მონდომებებზეა დამოკიდებული. ნამყენის უკეთ გასახარებლად და სპეციალურ პირობებში მოსათავსებლად, გახარებული ნერგების უკეთ გამოსაზამთრებლად, ყვექმნილია 500 კვ.მეტრის თანამედროვე სათბური. აქ ვაპირებ ყველა ნამყენი ნერგის დასაწყობება-გამოზამთრებას. მოკლედ, ჩვენ ახალ, თანამედროვე, მონივრულ აგროტექნოლოგიების შესაბამისად ვწერავთ იმ მიდგომებს, რომლებიც ფერმერებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, სერტიფიცირებული ნერგებით და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფს. ვფიქრობ, ეს მიზანი ამოდენა მხარდაჭერის და ხელშეწყობის პირობებში მიღწევადია.

ნუგზარ კორდანი

## კოტა რამ ქვევრის ღვინის შესახებ! ძვევრის ღვინო - ქართული ბენის უაღვრე!

ბოლო დროს, ქვევრის ღვინოზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ამ ფენომენზე სამომავლოდ მაშტაბური გათვლები კეთდება, მოიაზრება ჩვენი მეღვინეობის პერსპექტიული მიმართულება, აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ფაქტორად, საექსპორტო პროდუქციის სერიოზულ წყაროდ და სოფლად დამატებითი შემოსავლების მნიშვნელოვან რეზერვად.



ზოგადად, ქვევრის ღვინო გულისხმობს ყურძნის ტკბილის გარკვეულ რაოდენობის ჭაჭასთან დადუღებას, დაღვინებას და შემდგომ დავარგებას. პირველი და მნიშვნელოვანი წესი ქვევრში ღვინის დაყენებისა, არის ქვევრში ღვინის დაყოფაზე თავისივე ჭაჭაზე - როგორც ალკოჰოლური დუღილის, ისე მის შემდგომ პერიოდშიც.

ღვინის დაყენების ტექნოლოგია, რიგი მიზეზების გამო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში განსხვავებულია: კახეთში ალკოჰოლური დუღილი მონაწილეობს ჭაჭის მთლიანი რაოდენობა, ღვინის დაყენების იმერული წესი კი, გულისხმობს სანახევლიდან ქვევრში ჩასხმული ტკბილს დამატებული არა ჭაჭის მთლიანი რაოდენობას, არამედ - მაქსიმუმ ერთი მესამედი ნაწილის. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენი ხანი უნდა დაყოფილ დასავარგებლად ღვინო თავისივე ჭაჭაზე, ამ პერიოდის განსასაზღვრად დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის ჯიშს, ალკოჰოლური დუღილის ხანგრძლივობას, გარემო პირობებს და სხვა. საშუალოდ, ნითელი ღვინო ქვევრში მხოლოდ ალკოჰოლური დუღილის პერიოდში ჩერდება. ეს შეიძლება იყოს 7-10 დღე, მაქსიმუმ ორი კვირა. თეთრი ყურძნის შემთხვევაში ღვინოს ჭაჭაზე გაზაფხულამდე ტოვებენ. ჭაჭაზე დიდი ხნით დაყოფილი ღვინო იძენს მუქ ჩალისფერ, ოქროსფერ ან ჩაისფერ შეფერილობას, გამჭვირვალეა და კრიალა. ხასიათდება ხილის ტონებით და ტანინების ზომიერი შემცველობით. არის ბუნებრივად სტაბილური. საინტერესოა იმის ცოდნაც, თუ რაში მდგომარეობს ქვევრის გამორჩეულობა და სიკეთე, რაც შემდგომში თავად ღვინოზე აისახება. მთავარი ისაა, რომ აქ ბუნებრივი ტემპერატურული ბალანსი - ქვევრში ღვინის ტემპერატურა - შენახვის დადგენილ ზღვარს არ სცილდება და იმას, რასაც ქარხნული მეღვი-

ნეობის პირობებში რიგი დანადგარები და დანახარჯები ესაჭიროება - ქვევრებში ბუნებრივად და დაცული. ტემპერატურულ რეჟიმს არა მარტო ღვინის შენახვისათვის, არამედ ალკოჰოლური დუღილის პროცესისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ღვინის დადუღება-დავარგება. ქვევრში ტემპერატურული რეჟიმის ბუნებრივი ბალანსისა და ალკოჰოლური დუღილისათვის ოპტიმალური ტემპერატურის თავისთავად არსებობის გამო, ღვინის დაყენებისას ქრონოლოგიურად მიმდინარეობს ყველა ის პროცესი, რასაც ქარხნულ პირობებში სხვადასხვა დანადგარები და ქიმიური დანამატები ესაჭიროება. ქვევრის უნიკალური ფორმიდან გამომდინარეობს ის, რომ ჭაჭაზე დატოვებული ღვინო არ განიცდის ლექის გავლენას. ალკოჰოლური დუღილის დასასრულს, ყურძნის ნიშების დიდი ნაწილი მარცვალს სცილდება, იძირება და გროვდება ქვევრის ძირში. წვერის ზემოქვედებით ყურძნის ნიშნას ლექი გადაეფარება, რის შედეგადაც ხდება ნიშნასა და ღვინის ერთმანეთისგან იზოლირება. დუღილის დასრულების შემდეგ რადგან ჭაჭა გარკვეული დროის განმავლობაში არ იძირება მასში ალკოჰოლური დუღილის დროს გამოყოფილი ნახშიროვანის არსებობის გამო, მის ჩაძირვას ლექის დალევა უსწრებს ნიშ, ხოლო შემდეგ უკვე ჭაჭა იწყებს ჩაძირვას: ამრიგად, ღვინოს შეტება მხოლოდ და მხოლოდ ჭაჭასთან აქვს, საიდანაც მას მაქსიმალურად გამოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ნივთიერებები. იმ ფაქტს, რომ ქვევრის ღვინო ბუნებრივად სტაბილურია, განაპირობებს ისიც, რომ ქვევრის ღვინო ტანინებით მდიდარია. ტანინი კი - თავისთავად ბოჭაქს ღვინოში არსებულ ცილებს, რომლებიც ამღვრევენ ღვინოს.

მომამზადა ნუგზარ კორდანი

# აგროსერვისის ცენტრში ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამა გრძელდება

აგროსერვისის ცენტრის დირექტორმა გიორგი ბერიძემ და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე სოფო ქემსაძემ ხელი მოაწერეს გასულ წელს დაწყებული 3,3 მილიონიანი პროგრამის „ENPARD Ajara – სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარაში“ ხელშეკრულების გაგრძელებას, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ნაბაძე, საქართველოსა და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრები შალვა ფიფია და ზაურ ფუტყარაძე, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროექტების მენეჯერი საქართველოში სუან ეჩანოვე დაესწრნენ.

ხელშეკრულების ხელმოწერას წინ უსწრებდა ამ ორი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ვიზიტები აგროსერვისის ცენტრში და მონიტორინგი, თუ რა გავლენა ზემოთ აღნიშნული პროგრამით - ამ ერთი წლის განმავლობაში. დასკვნა დადებითი იყო. გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში გოცბეულიძე კი დარწა იმით, რომ ასეთ მცირე დროში აგროსერვისის ცენტრის კოლექტივმა ყველა მიმართულებით ასე ბევრის გაკეთება მოახერხა - მემცენარეობაში, მეცხოველეობაში და ფერმერთა სწავლება-კონსულტირების მხრივ. კონკრეტულად, გაშენდა ხეხილის საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთები, ხელოვნური განაყოფიერების გზით მიღებული ათეულობით ჯიშობრივად გაუმჯობესებული ხბო, სწავლება-კონსულტაცია გაიარა 2 ათასზე მეტმა ფერმერმა. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების გაგრძე-



ლებაზე ხელმოწერა შუახვევის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ახლად რეაბილიტირებულ შენობაში გაიმართა. მსგავსი შენობები გადაეცათ სხვა მუნიციპალიტეტებში მოქმედ ანალოგიურ სამსახურებსაც. ეს სწორედ გაეროს ზემოთ აღნიშნული პროგრამის ფინანსური ხელშეწყობით გაკეთდა. გვარას ცენტრის შენობა, რომელშიც აგროსერვისის ცენტრის ქობულეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური მუშაობს, ისეთ მაღალ დონეზეა მოწყობილი, ნებისმიერი საერთაშორისო ღონისძიების გამართვაც კი შეიძლება. აქ ფერმერთა სრული მომსახურებისათვის ყველა პირობაა შექმნილი.

- ხელშეკრულების გაგრძელებაზე ხელმოწერა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას გაეროსთან და ევროკავშირთან და აქტიურ მუშაობას ზემოთაღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის, - გვითხრა აგროსერვისის ცენტრის დირექტორმა გიორგი ბერიძემ. ამ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით წელსვე ჩვენი ხეხილის საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთები გვარაში 11 ჰექტარამდე გაიზარდება. მთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში დასრულდება მოცვის საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა. მეცხოველეობაში მოსახლეობისათვის ამოქმედდება მოძრავი ვეტერინარული პუნქტები. გვარაში ხეხილის გასაშენებლად მოვაშენებთ 5 ჰექტარ ფართობს. კიდევ უფრო გავაფართოვებთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების ქსელს და პრაქტიკას, კონსულტაციას ვაგურნევი ასეულობით ფერმერს. პროგრამის ფინანსური ხელშეწყობით - ვაგრძელებთ ასევე ხილის გადამამუშავებელი, გასაშრობი მინი-სამაქროების მოწყობას. ყველაფერს ჩამოთვლა შორს წავიყვანს. მთავარი ისაა, რომ რასაც ვაკეთებთ, მასში გაეროსა და ევროკავშირის ზემოთაღნიშნული პროგრამის ფინანსური და ტექნიკური ხელშეწყობა - წინააღმდეგობა და დიდი მხარდაჭერა და სპონსორინგია, რომ შედეგებიც სათანადოდ რეალური, - თქვა დასასრულს გიორგი ბერიძემ.

შოაშადა რევაზ მსხილაძე

## აგროსერვისის ცენტრის საქმიანობას პრესტურის ფარგლებში ცენტრალური მედიის წარმომადგენლები გაეცნენ

30 მაისს აგროსერვისის ცენტრის ქობულეთის ფერმერთა მომსახურების სერვისცენტრს, პრესტურის ფარგლებში, ოცამდე ცენტრალური მედიის, გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლები ეწვივნენ. შეხვედრას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების რეგიონული ასოციაციის ხელმძღვანელი გიორგი მიშელაძეც ესწრებოდა. ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა აგროსერვისის ცენტრის ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა და ხილის საკონსოლიდაციო საწარმო და-

ათვალიერეს. გარდა ამისა, აგროსერვისის ცენტრის საკონსულტაციო დარბაზში გაიმართა სემინარი-პრეზენტაციები საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების, კოოპერატივების მნიშვნელობის, ევროკავშირის პროგრამა ENPARD-ისა და აჭარაში აგროსერვისის ცენტრის უნიკალურობისა და გამოცდილების შესახებ.

აგროსერვისის ცენტრი ერთადერთი არაკომერციული ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მასში თანამედროვე მიდგომების დანერგვას ემსახურება. ამ მიზნით ორგანიზაციაში მოქმედებს ფერმერთა კონსულტირების, ნიადაგის აგროქიმიური კვლევის, ხილის შრობა-გადამამუშავებისა და „რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სერვისები“.

2015 წლიდან კი ორგანიზაცია ფერმერებს საკუთარ სანერგეებში წარმოებული ციტრუსისა და ვაზის ნერგებსაც შესთავაზებს. აგროსერვისის ცენტრი 2011 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნდა. ორგანიზაციაში სერვისების უმრავლესობა გაეროსა და ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში ფინანსდება.



## ქედაში ღვინის ქარხანა იხსნება

მევენახე ფერმერებს წლის ბოლოსთვის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში ელოდებათ. ქედაში ღვინის ქარხანა ამოქმედდება, რომელიც აჭარაში მოწვეული ყურძნის მთლიანად მიღებას და გადამამუშავებას შეძლებს. ქარხანას კომპანია „კამელსა“ ზურაბ ჩხაიძე ხელმძღვანელობს. ქარხნის საძირკვლის ჩაყრაში მონაწილეობდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ნაბაძე. კომპანიის ხელმძღვანელმა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სიმბოლური კაფსულა ჩადეს ქარხნის საძირკველში და მოსახლეობას მიულოცეს ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების და სხვა ხელშეწყობების მეშვეობით, აჭარაში და განსაკუთრებით, მევენახეობისთვის ტრადიციულ ქედაში მდგომარეობა სულ უფრო უმჯობესდება, - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტყარაძემ. მოსახლეობა დანტერესებულია ახალი ვენახების გაშენებით, რაშიც მიზნობრივი პროგრამის გზით, ვაზის ნამყენების 30 პროცენტთან თანადაფინანსებით მიყიდვით

- სამინისტროც დაეხმარა. მევენახეობით, უპირატესად ღვინის წარმოებით, მოსახლეობის დაინტერესება - უცხოური ბაზრების გახსნამ და ყურძნის შესასყიდი ფასის მკვეთრად გაზრდამაც გამოიწვია. თუ ასე გაგრძელდა, პერსპექტივა კიდევ უფრო რეალური და მიღწევადი იქნება და ცხადია, სამინისტროც მეტად შეუწყობს ხელს ფერმერებს მევენახეობის განვითარებაში. კონკრეტულად, აგროსერვისის ცენტრი ამ მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს. აქ ვაზის საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთზე ორ ათასი ჰექტარამდე სხვადასხვა ჯიშის ადგილობრივი და უცხოური საღვინე და სასუფრე ყურძენი აქვთ გაშენებული. მათგან საუკეთესოებს, ჩვენი რეგიონისათვის უფრო მისაღებს შეარჩევნებ, დაამყინებ და ასე მიღებულ ნერგებს - თვითღირებულების ფასად მიყიდვით მოსახლეობას. სამინისტროს ინფორმაციით, ქედაში ყველაზე კარგად ჩხავერი და ცოლიკაური ხარობს და კარგ მოსავლასაც იძლევა. ამიტომ უპირატესად ამ ჯიშების გამრავლებაზეა საუბარი.

რევაზ მსხილაძე



## აგროსერვისის ცენტრი ფარმერთა აგროსერვისული მომსახურების პროექტს იწყებს

აგროსერვისის ცენტრმა ფერმერთა აგროსერვისული მომსახურების პროექტი დაიწყო, რაც ფერმერთა საპილოტე მეურნეობების განვითარებასა და მათგან მაქსიმალური მოგების მიღებას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში 50-მდე ფერმერთა შერჩეული აგროსერვისის ცენტრის კონსულტაციები მათ ფერმერული მეურნეობების მართვა-დაგეგმვის შესახებ კონკრეტულ მითითებებს აძლევენ. კერძოდ, ახვდებიან რეკომენდაციებს არსებული კულტურების ჯიშთა განსაზღვრის, აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებისა და ფერმერული მეურნეობის რენტაბელურ მეურნეობად გარდაქმნის შესახებ. პერიოდულად განხორციელდება მონიტორინგი გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. წლის ბოლოს კი - მიღებულ შედეგებს პროექტის დაწყებამდე არსებულ შედეგებთან შეადარებენ. პროექტის მიზანია, რაც შეიძ-

ლება მეტმა ფერმერმა გაითვალისწინოს სპეციალისტების რჩევები და რენტაბელური გახადოს საკუთარი ფერმერული მეურნეობა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხელვაჩაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო განყოფილების კონსულტანტებმა სოფელ განთიადში აგროსერვისული მომსახურების ბარათის მქონე ფერმერები მოინახულეს. ფერმერულ მეურნეობებში წამლობათა ღონისძიებების არაგვიანად ჩატარების გამოცემა და სოკოვანი დაავადებების მიყენებული დაზიანებები შეიმჩნეოდა და სპეციალისტებმა მდგომარეობის გამოსწორებლად ფერმერებს რეკომენდაციები მიანიჭეს. აგროსერვისის ცენტრის კონსულტანტები საბოლოო ფერმერული მეურნეობების მფლობელებს ყველა მუნიციპალიტეტში სტუმრობენ და მათ მეურნეობის განვითარებაში ეხმარებიან.

# ვაზის აბრობაქნიკა



## ჩვილი ხოხობის დაკვლით მესხოველეობის დარგი ვერ განვითარდება

ამ მონოდებით უპირველესად მივ-მართავ ფერმერებს, რომლებიც გასა-ყიდად იმეტიებენ ახალშობილ ჯერ ისე ჩვილ ხოხობებს. შემდეგ იმათ, რომლებიც დასაკლავად და საკვებად ყიდიან მათ, ისე რომ ერთი ძარღვიც არ შეუტოვ-დებათ სახეზე. ეს არა მხოლოდ არა-ადამიანური და საცოდაობაა, არამედ ქვეყნის წინაშე დანაშაულიცაა.

ადრე გაზაფხულიდანვე, როცა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მასობ-რივი დაბზიანება დაიწყო, ჩვენ ძალ-ღონე არ დავიშურეთ იმისათვის, რომ თითქმის ტრადიციულ ქვეყნულ ხოხობის მასობრივი განადგურება შეგვეჩერებინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბათუმის ბაზრებზე, დასაკლავად ხოხობის გამოყ-ვანა არ შეწყვეტილა და დღესაც ინტენ-სიურად გრძელდება. ჩატარებულმა შე-ვედრებმა და საუბრებმა გვიჩვენა, რომ ამ პრობლემაზე მკაცრი კონტროლის დაწესება შეუძლებელია. ეს უფრო მო-ქალაქობრივი შეგნების საქმეა და კარ-გი იქნებოდა ახლო მომავალში კანონი-თაც გამაგრებულიყო, ისე, როგორც ბევრ ქვეყანაშია. მითუმეტეს, რომ ხო-ხობის მასობრივად დაკვლა ეკონომიკუ-რადაც უაღრესად წამგებანია როგორც ფერმერისთვის, ასევე ქვეყნისთვის. სა-იღუმლო არაა, რომ მსხვილფეხა რქო-სანი პირუტყვის სულადობა ავტონომი-ურ რესპუბლიკაში პერმანენტულად მცირდება. ხო თუ არ გაიზარდა, ძრო-ხად და ხარად არ იქცა, დარგი როგორ განვითარდება, როგორ გახდება მესხო-ველეობა კვლავაც მოსახლეობის ძირი-თადი საარსებო წყარო?

ბურ რეაბილიტაციის საჭიროებს, რო-გორც თვისობრივად, ასევე რაოდენობ-რივად. ამ მიზნით ჩვენი სამინისტროს აგრისერვის ცენტრი საკმაოდ ეფექ-ტურად მუშაობს. მხედველობაში მაქვს გაეროს ხელშეწყობით ფურის ხელოვ-ნური განყოფილების პრაქტიკის აღ-დგენა და შესაბამისი ქსელის შექმნა. უკ-ვე მიღებულია გაუმჯობესებული ჯიშის 170 ხბო, მათი დაკვლა კი - აშკარა დანა-შაულია. მეცხოველეობა მრავალწინა-გოვანი, მრავალმიმართულებიანი, რთუ-ლი, შრომატევადი და სტრატეგიული დარგია. ამიტომ ჯიშობრივ გაუმჯობე-სებასთან ერთად, მეცხოველე ფერმე-რებმა პირუტყვს უკეთესად უნდა მო-უარონ და უზატრიონ. მათ უნდა ჰქონ-დეთ კარგი სადგომი, სადაც ყველა შე-საძლებლობა იქნება მაღალ ზორვეტე-რინარული მომსახურებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია კარგი საკვები ბაზის შექმნა. ვეულისხმობ სათიბ-საძოვრების გაკულტურებას, საფურაჟე მარცვლე-ულის წარმოების გაზრდას, კომბინირე-ბული საკვების ადგილზე დასამზადებ-ლად და ა.შ.

ზოგი მეცხოველე ფერმერი ყოველ-ნაირად ცდილობს ვეტერინარული მომ-სახურების გარეშე გავიდეს ფონს, მაგ-რამ როგორც წესი, ეს უფრო ძვირი უჯ-დება. გასაგებია, რომ ეკრძო ვეტერი-ნარული მომსახურებით სარგებლობა საკმაოდ ძვირია და ჯერ კიდევ ბევრ ფერმერს არ შეუძლია, ამიტომაცაა, რომ სახელმწიფო რეალურად დანერ-გული ნოვაციებით ცდილობს სოფლად ვეტერინარული მომსახურება ფერმერ-თათვის ხელმისაწვდომი გახადოს.

ასე რომ, ავტონომიურ რესპუბლი-კაში მეცხოველეობის რეაბილიტაციის ფონი საკმაოდ საიმედოა. მეცხოველე-ობის განვითარებას, ჯიშობრივ განახ-ლებას და პროდუქტიულობის გაზრდას დიდი ყურადღება და დახმარება სჭირ-დება. და კვლავ მოვუწოდებ ყველას, ნუ გაიმეტიებენ ჩვილ ხოხობებს დასაკლავად. სულ ახლო წარსულში აჭარაში 150 ათას სულზე მეტი მსხვ. რქოსანი პირუტყვი გვყავდა. დღეს ამის ნახევარი თუ იქნება. ამიტომაც სულ უფრო მცირდება მეცხო-ველეობის პროდუქტების წარმოება, რაც თავისთავად იმპორტულით იცვება. კარგ ტრადიციებს, რომლებიც ჩვენს რეგიონს ის-ტორიულად გააჩნია, რაც შეიძლება მალე უნდა დაუზღუბუნდეთ და რეგიონში მეცხოველეობა რენტაბელურ, მომგებიან და წარმატებულ დარგად ვაქციეთ.

სულიყო ბერიძე  
აჭარის სოფლის მეურნეობის  
მინისტრის მოადგილე

### დასასრული, დასაწყისი პირველ გვერდზე

ვაზის უხვი და სტანდარტული მოსავლის მისაღებად საკმაოდ რთუ-ლი და კვალიფიციური შრომაა საჭი-რო, ამ პროცესში განსაკუთრებულ ყუ-რადღებას საჭიროებს ნიადაგის მოვ-ლითი ღონისძიებები, ვაზის გასხვლა, ფორმირება, წამლობითი ღონისძიებე-ბი, მწვანე ოპერაცია ენ ცის გახსნა, მი-ნერალური და ორგანული სასუქებით უზრუნველყოფა და სხვა. ეს პროცე-სები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირ-შია და აუცილებელია თითოეული მათგანის ზედმიწევნით შესრულებ-რაა ხარისხიანი და მაღალი ღირსე-ბის მქონე პროდუქტია მივიღოთ.

ვენახის ნიადაგის დამუშავება აუ-ცილებელი აგროტექნიკური ღონისძი-ებაა ვაზის ნორმალური ცხოველყო-ფელობისათვის. მისი ერთ-ერთი ძი-რითადი ამოცანაა ნიადაგში პლანტა-ჟითი შექმნილი პირობების დადებითი გავლენის გახანგრძლივება ვაზის ფეს-ვთა სისტემის განვითარებაზე, რის-თვისაც აუცილებელია სისტემური ყო-ველწლიური სამუშაოები, რათა ნი-ადაგის კულტურულ ფენაში წარმარ-თოს ვაზისათვის სახარბიელო ფიზი-კური, ქიმიური და მიკრობიოლოგი-ური პროცესები.

ვაზისათვის აუცილებელია ნიადა-გის ზედა ფენა იყოს მუდმივად გაფე-ვიერებული მდგომარეობაში, რადგანაც ამ დროს ნიადაგში სითბოს, ტენისა და ჰაერის რეჟიმი უზრუნველდება და უკე-თესად მიმდინარეობს ქიმიური და ბი-ოლოგიური პროცესები.

ვენახისათვის ნიადაგის დამუშავე-ბა ხდება შემოდგომის, გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდებში. შემოდ-გომაზე ვეგეტაციის დასრულებისთა-ნავე, ხოლო გაზაფხულზე ვეგეტაცი-ის დაწყებამდე. ზაფხულის პერიოდ-ში კი ნიადაგის დამუშავების სისში-რე დამოკიდებულია სარეველების განვითარების ტემპებზე, და ის მინი-მუმ სამჯერ დინდ უნდა ჩატარდეს.

ასევე მიიღი და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ვენახში სასუქების გამოყენებას, როგორც ორგანულს, ასევე არაორგანულს. როგორც ჩატა-რებული ცდები აჩვენებს, ვაზი განსა-კუთრებულ მოთხოვნას უყენებს აზო-ტოვან ( 50-80 კგ/ჰა) და კალიუმთან (50-100 კგ/ჰა) სასუქებს. ხოლო შედა-



რებით ნაკლებად ფოსფორიან (30-60 კგ/ჰა) სასუქებს. ბუნებრივია, ყველა ნივ-თიერება აუცილებლად უნდა მიწოდოს ვაზს ვეგეტაციის განმავლობაში სხვა-დასხვა სასუქების სახით. სასუქები ნი-ადაგში შეტანილი უნდა იქნეს შემოდ-გომაზე და გაზაფხულზე. შემოდგომა-ზე ძირითადად შეიტანება ორგანული სასუქი (40-100 ტონა/ჰა - 4 ნელინადში ერთხელ), კალიუმისა და ფოსფორიანი სასუქები. ისინი უნდა ჩავეთდეს 30-40 სმ. სიღრმეზე. რაც შეეხება აზოტოვან სასუქს, იგი გაზაფხულზე შეიტანება და ჩავეთდება ნიადაგში.

ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების გასაუმჯობესებლად მი-მართავენ ასევე ნიადაგის მოკირიანე-ბას, განსაკუთრებით მუჟავე რეაქციის მქონე ნიადაგებზე (10-12 ტონა /ჰა).

მევენახეობაში ერთ-ერთი რთული და პასუხსაგები მომენტია ვაზის გას-ხვლა, მის მიზანს წარმოადგენს მაღალი ხარისხისა და რეგულარული მოსავლის მიღება. გასხვლაზე დამოკიდებული ვა-ზის სანარმოო მომსახურების გახან-გრძლივება, ვაზის ორგანოების სივრცე-ში განლაგება, ვაზში დაგროვილი პო-ტენციური ენერჯის მოსავლიანობის გადიდებისკენ წარმართვა.

გაუსხლავ ვაზზე მეტად სუსტია ცალ-კული ყლორტები, რომლებიც კარგად ვერ მწიფდება, ზამთრის ყინვებისგან ადვილად ზიანდება და ამწივად მრავ-ალი ყლორტი ვაზის საერთო მომსა-

ხურებისათვის უსარგებლოდ იღუპე-ბა. დასავლეთ საქართველოს სინამ-დვილში მრავალი მაგალითია გაუს-ხლავი მაღალი ვაზის თავისებურე-ბების შესახებ, კერძოდ გაუსხლავ ვაზ-ზე ყოველწლიურად ხმება ნაზარდის განსაზღვრული ნაწილი, ესე იგი მცე-ნარე ბუნებრივად იშორებს ზედმეტ ნაწილებს და ამით ამყარებს წონასწო-რობას ფესვთა სისტემასა და მიწისზე-და ორგანოებს შორის. სწორად რომ წარმართოთ ვაზის სამეურნეო ზრდა-განვითარება აუცილებელია იმ წესე-ბის დაცვა, რომელიც ჩვენი მევენახე-ობისთვისაა მისაღები. კერძოდ ვაზის გასხვლა ჩატარდეს მაშინ, როცა იგი მოსვენებით სტადიაშია, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია და სწორედ ამ პერიოდის ფარგლებში უნდა დაადგო-ნოს მეურნემ სხვლის საუკეთესო ვადა - კლიმატის, ნაკვეთის რელიეფის, ნი-ადაგის, ჯიშის და იმ მოთხოვნილებე-ბის მიხედვით რომელსაც ის უყენებს ვაზის კულტურას.

დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკებისათვის გასხვლის სა-უკეთესო პერიოდად უნდა ჩაითვა-ლოს დრო, როცა ყოველგვარი საგა-ზაფხულო ნაყინვა გამოირიცხება, ასე-თი დროის მონაკვეთი კი მარტის მე-ორე ნახევარია, თუმცა არის წლები როცა ეს დრო უფრო ადრეული პე-რიოდისათვის დადგება.

ვაზის გასხვლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაცია, რომელიც მიმართულია ვა-ზის ზრდა - განვითარების რეგული-რებისკენ. ამ სამუშაოს მიეკუთვნება : ზედმეტი ყლორტების შეცლა, ყლორ-ტების წვერის ნაწყვეტა, ნაშრევეების შეცლა, ცის გახსნა, შემორგოლა და სხვა. ეს პროცესი ხელს უწყობს ვაზის იმგავად განვითარებას რომ მიღებუ-ლი იქნეს მეტი და უკეთესი ხარისხის მოსავალი. გარდა ამის უკეთესად ვი-თარდება შემდეგი წლის სხვლისთვის საჭირო ნაზარდი სამაშულისა და სა-ნაყოფის სახით, რომლებიც განსაკუთ-რებით ხელსაყრელ პირობებში ექცე-ვიან კვებისა და აღზრდის მხრივ.

მევენახეობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მანებელ-დავა-დელებთან ბრძოლას. რამეთუ პრევენ-ციული ღონისძიებების გარეშე წარმო-უდგენელია მაღალხარისხიანი, სტან-დარტული მოსავლის მიღება.

ჩვენში გავრცელებული ვაზის მავ-ნებელ-დაავადებათაგან განსაკუთრე-ბით საშიშია ჭრაქი (მილიდი), ნაცარი (ოიდიუმი), ყურძნის თეთრი სიდამლე, ყურძნის შავი სიდამლე, ფუზარიოზი, ვაზის ანთრაქნოზი.

ზემოთჩამოთვლილ დაავადებებთან ბრძოლის არაერთი მეთოდი შეიმუშ-ავებული, ისინი იწყება ვაზის ყვავილო-ბამდე და გრძელდება ვაზის განვითარე-ბის ყველა ფაზაში, გარდა ყვავილობისა.

იხილეთ ცხრილი:

### ამოჭერი და შეინახე

თუ გსურთ ყურძნის მაღალი, ხარისხიანი და სტაბილური მოსავალი მიიღოთ, აუცილებელია რეკომენდირებულ ვადებში ვაზის დაავადებების საწინააღმდეგოდ ცხრილში მოცემული ღონისძიებების ჩატარება			
შენიშვნა	ღონისძიების დასახელება	არეგულარული დასახელება	ხარჯების ნორმა
კვირტის მაქსიმალური დაბეჭვა	სოკოვანი დაავადებების მოხამორე ფაზების წინააღმდეგ	ბლუ ბორდო	2 % - ნი
კვირტის გახსნა	კვირტის ჭია, ხვარტი	ფასტაკი	0.03% - ნი
	ტკიპები	ენვიდორი ან მასაი	0.04% - ნი
4=5 ნამდვილიფოთილი	ჭრაქი, ანთრაქნოზი	კუპერფიქსი	0.2% - ნი
	ნაცარი	კუმულუსი ან ტოპაზი	0.3%-ნი, 0.02%-ნი
	ფეხგარეშე გამოკვება	რანი	0.04% - ნი
ყოველი გახსნა	ჭრაქი, ანთრაქნოზი	რიდომილი	0.2% - ნი
	ნაცარი	ტოპაზი	0.02% -ნი
ყვავილობის დასაწყისი	ყურძნის ჭია	ფასტაკი	0.03% - ნი
	ჭრაქი	კუპერფიქსი	0.2% - ნი
ყვავილობის დასასრული	ნაცარი	კუმულუსი	0.3% - ნი
	ნაცრისფერი სიდამლე	როვალ აკეფლო	0.1% - ნი
მარცვლის ფორმირება	ჭრაქი, ნაცარი	სტრობი	0.02%-ნი
	გამოკვება	სოლინური	2.5%-ნი
მტკვნის შეკრა	ჭრაქი	რიდომილი	0.25%-ნი
	ნაცარი	კუმულუსი	0.4%-ნი
	ნაცრისფერი სიდამლე	როვალ აკეფლო	0.1%-ნი
	ანტრაქნოზი ტკიპა	ენვიდორი	0.04%-ნი
შეთვალვა	ჭრაქი	დელანი	0.07-0.1%-ნი
	ნაცრისფერი სიდამლე	დელანი	0.1%-ნი

ტარიელ უგუაგუნიძე  
აგროსერვისის ცენტრის აგრონომი

აგროსერვისის აჭარის რეგიონის  
უმაღლესი  
მომსახურეობითი  
სერვისის ცენტრი  
და ნიადაგმართვის  
სერვისის ცენტრი  
საქართველო, ბათუმი (6010)  
გოგაბაშვილის 46ა  
ელ. ფოსტა:  
agroservice.center@yahoo.com  
ტელ.: 593100829

WWW.AGROSC.GE

რედაქტორი  
ნუგზარ ჟორდანი  
გაზეთში გამოქვეყნებული მასალები  
და არ გამოხატავს აგროსერვისის ან  
გაზეთის მფლობელის აზრს

გაზეთი აიწყო, დაკამათდა  
და დაიბეჭდა შპს „ბესტკომპანი“ მიერ  
ელ. ფოსტა: BESTCOMPANY\_Z@YAHOO.COM